



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030461483175419

№ 04-1675/თ

07 / ნოემბერი / 2019 წ.

**სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2020 წლის განმავლობაში
განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს შრომის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2020 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმა“ (დანართი N1).
2. სააგენტოს ეკონომიკურმა დეპარტამენტმა (ლ. მამულაშვილი) უზრუნველყოს „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2020 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის“ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის ღონისძიებები, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2020 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის“ პროაქტიულად გამოქვეყნება, დადგენილი პირობებით.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს დირექტორის მოადგილეს, ლ. გოგოძეს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წონკოლაური

სახელმწიფო შესყიდვების 2020 წლის გეგმის პროექტი									დანართი №1
1. შედგენის თარიღი - 06/XI-2019				2. შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი 202178927					
3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება			4. დაფინანსების წყარო						
სოციალური მომსახურების სააგენტო									
5. სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ჯამური თანხა								25,963,946	
№	დანაყოფის კოდი	დანაყოფის დასახელება	სავარაუდო ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვების დაწყების სავარაუდო ვადები	შესყიდვის ობიექტის მიწოდების სავარაუდო აადა	პროგრამული კოდი	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7		8	9
1	33141310	შპრიცები	32,019	ე.ტ.	I	I-IV	27 03 03 02	სოციალური უზრუნველყოფა	დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამა
2	33600000	ფარმაცევტული პროდუქტები	207,757	ე.ტ.	IV/2019	I-IV/2020	27 03 02 08	სოციალური უზრუნველყოფა	დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა
3	33600000	ფარმაცევტული პროდუქტები	441,820	ე.ტ.	IV/2019	I-IV/2020	27 03 03 05	სოციალური უზრუნველყოფა	ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის სახელმწიფო პროგრამა
4	33600000	ფარმაცევტული პროდუქტები	12,008,316	ე.ტ.	IV/2019	I-IV/2020	27 03 03 02	სოციალური უზრუნველყოფა	დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამა
5	33600000	ფარმაცევტული პროდუქტები	11,200,000	ე.ტ.	IV/2019	I-IV/2020	27 03 03 06	სოციალური უზრუნველყოფა	იმვითი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა
6	33600000	ფარმაცევტული პროდუქტები	851,214	ე.ტ.	IV/2019	I-IV/2020	27 03 03 04	სოციალური უზრუნველყოფა	დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამის, ორგანოგადანერგო პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი
7	33600000	ფარმაცევტული პროდუქტები	1,222,820	ე.ტ.	IV/2019	I-IV/2020	27 03 02 09	სოციალური უზრუნველყოფა	ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა
სულ:			25,963,946						